ბოხვაური – სოფელი სადაც ბოლო რვა წლის განმავლობაში წელიწადში მინიმუმ თითო მნიშვნელოვანი პროექტი მაინც ხორციელდება

ადგილმდებარეობითა და რელიეფით ბოხვაური ერთ-ერთი უნიკალური სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ოზურგეთის ცენტრიდან იგი უფრო ნაკლები მანძილითაა დაშორებული, ვიდრე ქალაქის ზოგიერთი უბანი. რა თქმა უნდა, აქ ხალხიც გამორჩეული ცხოვრობს და ამიტომ გამოიყურება ეს სოფელი ეგზომ მიმზიდველად. გასულ ხუთშაბათს, ბოხვაურში „ალიონის“ რამდენიმესაათიანი „ვიზიტის“ მიზანი, რასაკვირველია, მხოლოდ ეგზოტიკური ვიზუალი არ ყოფილა. მიღებული ინფორმაციით, ეს ის სოფელია, სადაც ბოლო რვა წლის განმავლობაში მინიმუმ თითო მნიშვნელოვანი პროექტი მაინც ხორციელდება.

განსაკუთრებით თვალშისაცემია სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან სოფლის თავკაცების – მაჟორიტარი დეპუტატის **გელა ჩავლეშვილის,** სოფელში ოზურგეთის მერის წარმომადგენლის **თემურ ჩავლეშვილის,** მერის წარმომადგენლის თანაშემწეების **რუბენ გირკელიძისა** და **გიორგი არობელიძის** კოორდინებული თანამშრომლობის, ბოხვაურელთა მიერ პრიორიტეტების მართებულად შერჩევის შედეგია.

მერის წარმომადგენელი და მისი თანაშემწეები სოფლის ადმინისტაციულ შენობაში დაგვხვდნენ და, ბუნებრივია, როგორც მათთან საუბარი, ისე ეს წერილიც ამ შენობაში განხორციელებული სამუშაოებით დავიწყეთ.

„შენობა მთლიანად გადაიხურა მაღალი ხარისხის თუნუქით. აქ განთავსებული ამბულატორიისთვის კაპიტალურად შეკეთდა 5 ოთახი, მოეწყო ორსექციიანი სველი წერტილი, გაკეთდა საკანალიზაციო ჭა. ექიმ ***ნანა ცხვედიანსა*** *და ექთან* ***ეკატერინე ღლონტს*** *კარგი პირობები აქვთ შექმნილი პაციენთა მომსახურებისათვის. პაციენტებიც ემადლიერებიან ამ მედიკოსებს.*

აქვე ერთი გარემონტებული ოთახი დაეთმო სოფლის ბიბლიოთეკას, ახლა ვზრუნავთ წიგნადი ფონდის შესავსებად, რაშიც გვეიმედება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა. ვეძებთ გზებს ჩვენი ბიბლიოთეკისთვის კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ინვენტარის შესაძენად. ბოხვაურის ბიბლიოთეკის ამოქმედების შესახებ ინფორმირებულია საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, გურულების ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მწერალი, ბატონი ***გიორგი კეკელიძე.***

ბოხვაურის სინამდვილეში გვაქვს კარგი მაგალითი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისა. ადმინისტრაციულ შენობაში ერთი ოთახი დაეთმო ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას „ქალთა ერთობა“, რომელიც ***თამარ ჭურდიანის*** *ხელმძღვანელობით ახორციელებს ფონდ „ტასოს“ მიერ დაფინანსებულ*

▶▶▶ გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (10352) 13 ივლისი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

„მე ამ ლიცენზიაში ფული მაქვს გადახდილი, რატომ უნდა შევაჩეროთ მუშაობა?“

ალიონი. *მიუხედავად სოფელ ბაილეთის და სილაურის მოსახლეობის პერნამენტური აქციებისა, ბუნებისდამცველი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ აქტიურობისა, კომპანია „სამი ძმები“ გასულ კვირაში ახალსოფლისა და სილაურს შორის მდინარე სუფსის ხეობაში მდინარის აუზიდან ქვიშა-ღორღის ამოღებას აწარმოებდა.*

3 ივლისს პოლიციის ჩარევით კომპანიამ „სამი ძმები“ მდინარე სუფსის აუზში შეაჩერა მუშაობა. იყო შეთანხმება, რომ ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში მივიდოდნენ და შესაბამის დოკუმენტაციას წარადგენდნენ, თუმცა კომპანია „სამი ძმების“ წარმომადგენლებმა ეს პირობა არ შეასრულეს. „ეკო“ მათ ედავება, რომ წიაღის მომპოვებლებს ლიცენზია დაყადაღებული აქვთ და წარმოების უფლება შეჩერებული, თუმცა ისინი კვლავ მუშაობდნენ.

7 ივლისს, სოფელ სილაურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძემ** კვლავ 112-ზე დარეკა და ქვიშა-ხრეშის მოპოვების ადგილას კვლავ პოლიციის თანხლებით მივედით.

ექსკავატორმა პოლიციის გამოჩენისთანავე შეწყვიტა მუშაობა. კვლავ გაიმართა სიტყვიერი დაპირისპირება კომპანია „ნატას“, „სამი ძმების“

▶▶▶ გვ-4

რა შედეგს მოუტანს სოფელ ვაკიჯვარს „ნატანები 3 ჰესი“ და „ეკოს“ უარყოფითი პოზიცია

ალიონი. გასული წლის 6 დეკემბერს, სოფელ ვაკიჯვარში, „ნატანები 3 ჰესის“ მშენებლობის სკოპინგის ანგარიშის განხილვა ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე დაპირისპირის ფონზე გაიმართა. ამის გამო შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშენის“ და „გამა კონსტანტიგის“ წარმომადგენლებმა სკოპინგის ანგარიშის ბოლომდე წარდგენა ვერ შეძლეს.

გასულ ხუთშაბათს, სანდო წყარომ გაზეთ „ალიონის“ რედაქციას აცნობა, რომ შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშენის“ მენეჯერი **გიორგი მარგებაძე** გურიის სამხარეო ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში „ნატანები 3 ჰესის“ მშენებლობის საკითხის განხილვას გეგმავდა.

ადგილზე მისულს დარბაზში დაგვხვდნენ გიორგი **მარგებაძე,** გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე,** ვაკიჯვრელები: **მამუკა მდინარაძე. რამინ გოლიაძე, ჯიმი მდინარაძე თემურ მოქია, დავით ჩავლეშვილი, მარიკა გიორგაძე** და **ფიქრია ბუცხრიკიძე.**

შეხვედრის უმეტესი დრო გიორგი მარგებაძის გამოსვლას და ირმა გორდელაძის კითხვებს დაეთმო.

ამონარიდი გაზეთ „ალიონიდან“: „გაზეთმა „ალიონმა“ ჰესის პროექტის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსს, აკადემიკოს **დავით შარიქაძეს** სთხოვა კომენტარი: –*„ნატანები 3 ჰესი“ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის მიხედვით 9,085 მეგავატ სიმძლავრეზეა გათვლილი. ეს სიმძლავრე არის წინასწარი კვლევების შედეგი, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების (მათ შორის გარემოსა და სოციალური ზემოქმედების) შემდეგ დაზუსტდება. ჰესის სათავე ნაგებობა ზღვის დონიდან 652 მეტრზე, ქორბუდეში იქნება, კაშხალის სიმაღლე –8,2 მეტრი, ხოლო სადაწნეო მილის სიგრძეა 4635 მეტრი. ელექტროსადგურის შენობა განკუთვნილი იქნება 5 პელტონის ტიპის ვერტიკალური ჰიდროაგრეგატის დამონტაჟებისა და ექსპლოატაციისათვის.“* („ალიონი“ №43, 9 დეკემბერი, 2019 წელი).

– *პროექტი 15 მილიონი დოლარის ინვესტიციას ითვალისწინებს. აქედან 7 მილიონი გენერატორების და მილების შეძენისათვის არის გათვალისწინებული. 2 წლის განმავლობაში 180 ადამიანი დასაქმდება ამ მშენებლობაზე, საიდანაც 100 ადგილობრივი მუშახელი იქნება.*

გაითვალისწინეთ ისიც, რომ წინა ხელისუფლების დროს ჰესების მშენებლობისას როგორ ირღვეოდა ადამიანის უფლებები. მშენებლობა იწყებოდა ისე, რომ გარემოზე ზემოქმედების შე-ფასება (გზშ) და

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

კომპიუტერული
უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონთან»

ახალგაზრდობის სააგენტო რეგიონული ტურნეს ფარგლებში გურიას ეწვია

ალიონი. ახალგაზრდობის სააგენტო რეგიონული ტურნეს ფარგლებში გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეწვია. სააგენტოს ხელმძღვანელი **რეზო ჩარკვიანი,** გურიის სახელმწიფო რწმუნებულს **ზურაბ ნასარაიას** შეხვდა. სააგენტო ტურნეს სამწლიანი რეფორმის ერთ–ერთი მიმართულების „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ ფარგლებში ახორციელებს.

შეხვედრაზე განხილული იყო აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მიერ ერთობლივად გადადგული ნაბიჯები და გეგმიური აქტივობები, რომლებიც განსახორციელებელია. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება გულისხმობს, 64–ვე მუნიციპალიტეტში, წელს კი საპილოტედ შერჩეულ 11 მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნას, ასევე, ადგილზე შესაბამისი ადამიანური რესურსის მომზადებას.

ამ მიმართულებით ახალგაზრდობის სააგენტომ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით არაერთი ნაბიჯი გადადგა, ახლახანს დასრულდა ახალგაზრდების საჭიროებების რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფოკუსს წარმოადგენს ახალგაზრდების პრობლემები, გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები.

შეხვედრას ესწრებოდნენ რწმუნებულის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** ოზურგეთის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე,** სააგენტოს წარმომადგენლები და ახალგაზრდულ საკითხებში ჩართული თანამშრომლები.

შოთა გოგიბერიძე იური ლომაძის გათავისუფლებას ითხოვს

9 ივლისს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **შოთა გოგიბერიძემ** ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა. იგი სამართალდამცავ ორგანოებს ბერძ-ნულ-რომალულ ჭიდაობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონის **იური ლომაძის** გათავისუფლებას თხოვს.

„–ყოველგვარი ზედმეტი პოლიტიზების გარეშე ვეხმაურებით რა, ადგილობრივ მედიასაშუალებებში ბოლო პერიოდში გაშუქებული ჩვენი სასიქადულო სპორტსმენის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონის – იური ლომაძის და მისი ახლობლების დაპატიმრების თემას, გვსურს განვაცხადოთ:

„ჩვენ, გურიის რეგიონში მცხოვრები პატრიოტები გულითად თანავუგრძნობთ ახალგაზრდა სპორტსმენსა და მის ახლობლებს, მის ოჯახს, მწვრთნელებს ვალერი და ზურაბ ზურაბიანებს,კოლეგებს, გურიის მოჭიდავეთა მთელ თემს, რადგან მიგვაჩნია, რომ თვით სისხლის სა-მართლის კვალიფიკაცია და აღმკვეთი ღონისძიების შეუსაბამობა, ზედმეტად მკაცრი და არასამართლიანია.

გაუგებარია, რა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა წინასწარი პატიმრობის შეფარდება, როდესაც იური ლომაძე და მისი მეგობრები თავისი ნებით გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში, ე.ი. თვით გამორიცხეს მათი მიმალვის მოლოდინი, გარდა ამისა, როგორც პრესაში გამოცხადდა, ოჯახის წევრები უარყოფენ ე.წ. დაზარალებულზე ფიზიკური ძალადობისა და ძალადობ-რივი თავისუფლების აღკვეთის ფაქტს.

ვთხოვ სამართალდამცავ, საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებს მაქსიმალურად, ობიექტურად და გამჭირვალედ აწარმოონ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე და დროულად გათავისუფლდნენ პატიმრობიდან ჩვენი სასიქადულო სპორტსმენი და მისი მეგობრები!“–განაცხადა ბრიფინგზე **შოთა გოგიბერიძემ.**



რა შედეგს მოუტანს სოფელ ვაკიჯვარს „ნატანები 3 ჰესი“ და „ეკოს“ უარყოფითი პოზიცია

სხვა დოკუმენტები მშენებლობის დაწყებისას არც კი ჰქონდათ, შემდეგ კი გზაში ეწეოდათ. ასეთ მაგალითსაც მოგიყვანთ: მთისპირის ჰესის მშენებლობისას 2000 კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყე მოჭრეს სახელმწიფო თუ მუნიციპალური სატყეოდან. ჩვენი პროექტით კი მდინარე ნატანების აუზში 144კუბური მეტრი ხე-ტყე სახელმწიფო ტყეში, ხოლო 225 კუბური მეტრი მუნიციპალურ ტყეში მოიჭრება. ჩვენ 7-ჯერ ნაკლებს ზიანს მივაყენებთ ბუნებას, ვიდრე ეს „ბახვი 3“ ჰესის მშენ-ებლობისას მოხდა.

ჩვენ შესწავლილი გვაქვს ჰიდროლოგიური დოკუმენტები. მზად ვართ ვიყიდოთ სადაზღვევო პაკეტი, რომ შესაძლო ზიანის მიყენების შემთხვევაში სრულად აუნაზღაურდეს ზარალი კომპანია „ნიკორას“ კუთვნილ ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობას. ამ თემაზე მათთან მოლაპარაკება გვაქვს. სადაზღვევო კომპანიას თავად აირჩევენ. საკალმახე მეურნეობის პრობლემა მოხსნილია.

გარდა ამისა ჩვენი კომპანია 0, 5 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებს სოფელ ვაკიჯვრის განვითარებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუკი სოფელი უარს იტყვის ინვესტიციის განხორციელებაზე (როგორც თქვენ ამბობთ, ეს სახელმწიფოს მოვალეობაა) ჩვენ სოფელ ვაკიჯვრის 250 კომლს 30 წლის განმავლობაში უფასოდ მივაწვდით 200 კილოვატ ელექტროენერგიას, ხოლო თუ ამას სოფელ ფამფალეთის მოსახლეობაც დაემატება, ეს უკვე 500 კომლია, მაშინ ყოველთვიურად უფასოდ მივაწვდით 100 კილოვატ ელექტროენერგიას –განაცხადა **გიორგი მარგებაძემ.**

ირმა გორდელაძის კითხვაზე, თუ რატომ გახდნენ ასე გულუხვები და რა ბედი ელის მდინარე ნატანებს 4,6 კილომეტრის მანძილზე, როცა წყლის 90 პროცენტი მილში მოექცევა, გიორგი მარგებაძემ ჰიდროლოგიის სპეციალისტი ზაალ უკლება დაასახელა, რომლის კვლევებსაც ისინი ეყრდნობიან.

– ჩვენი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის მიზანია, ნაკლები ზიანი მიადგეს ბუნებას ჰესების მშენებლ-ობებიდან და კარიერული წარმოებიდან.4,6 კილომეტრ მანძილზე მდინარე ღელედ იქცევა, მიწაში დაიმარხება მდინარე.

მარტო ვაკიჯვრის მცხოვრებთა გადასაწყვეტი არაა მცირე ჰესების კასკადის აგება მდ.ნატანებზე.ვიცით რომ მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია ჰესის მშენებლობის.ეს საკითხი ეხება გურიის რეგიონს,ჩვენს მომავალს.დამარხული და იავარქმნილი მდინარეები არაა გურიის მომავალი,ის მხოლოდ კერძო ინვესტორს გაამდიდრებს.გურიის საზოგადოება იბრძოლებს გურიის ეკოსისტემის გადასარჩენად–განაცხადა **ირმა გორდელაძემ** და შეხვედრა დატოვა.

ამის შემდეგ შეხვედრამ არაოფიციალური სახე მიიღო. ჩვენ ამ შეხვედრის მონაწილე, 73 წლის **რამიზ გოლიაძე** ჩავწერეთ:

–ჩვენ, ვისაც გვიყვარს ვაკიჯვარი და ამ სოფლის მომავალზე ვფიქროთ, ჰესის მშენებლობის მომხრეები ვართ. 4 გვარი აღარ ცხოვრობს უკვე ვაკიჯვარში, 22 ოჯახი დაკეტილია და იყიდება. როგორი მოსასმენია: „დიომიდეს ნაფუძარი,“ „არსენ გოლიაძის ნაკარვალი,“„კაცაძის ნასახლარი,“..ჰესი მოგვიტანს განათებას, განათება–განათლებას. ხალხი დაბრუნდება სოფელში, ჩემი შვილიც მინდა დაბრუნდეს. *რის ეკოლოგია, არც თევზი გაწყდება. ჰესის მშენებლობას სოფლის მოსახლეობის უმეტესობა უჭერს მხარს* –განაცხადა მან.

შეხვედრას არ ესწრებოდნენ სოფლის ტერიტორიული ერთეულის ოფიციალური წარმომადგენლები. როგორც მერის წარმომადგენელმა **გიორგი მდინარაძემ** გვითხრა, იგი ავადაა და წევს, ხოლო სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძემ სატელეფონო საუბარში გვითხრა, რომ იგი პროტესტის ნიშნად არ დაეწრო ამ შეხვედრას, რადგან ჰესის მშენებლები შეხვედრებზე სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ.

– არანაირი წინსვლა არაა მათ მიერ დასმულ მწვავე კითხვებზე. ისინი აპირისპირებენ სოფლის მოსახლეობას ერთმანეთს. დაელაპარაკონ სოფელს. კარგად იციან მოსახლეობის 80 პროცენტი ჰესის მშენებლობის წინააღმდეგია.ესენი თავიანთი ბიზნესის იქით ვერაფერს ხედავენ, ააოხრებენ სოფელს და მე ამას ტაში როგორ დავუკრა –გვითხრა **ბაჩანა ნიჟარაძემ.**

ბოხვაური – სოფელი სადაც ბოლო რვა წლის განმავლობაში წელიწადში მინიმუმ თითო მნიშვნელოვანი პროექტი მაინც ხორციელდება

პროექტს „ცოდნის ძალა“. „ქალთა ერთობის“ საქმიანობის გაცნობის შემდეგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ***კონსტანტინე შარაშენიძე*** *ყველანაირ დახმარებას შეპირდა ამ არასამთავრობო ორგანიზაციას.*

საბავშვო ბაღის შენობის კედელზე, საწვიმარ მხარეს გაიკრა თუნუქი, პატარების სასწავლო საალმზრდელო პროცესის სრულყოფის მიზნით, შეძენილ იქნა შესაბამისი ინვენტარი.

საუკეთესო მდგომარეობაა სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. შარშან შეკეთდა და მოასფალტდა ჭალასთან დამაკავშირებელი ერთ კილომეტრამდე მონაკვეთი, წლეულს უკვე დამთავრდა სოფლის დასაწყისიდან ცხემლისხიდის საზღვრამდე არსებული, 4 კილომეტრამდე სიგრძის გზის მოასფალტება. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა სიმონიშვილის ქუჩიდან გაბრიელ ბერის პირველი შესახვევის ჩათვლით, ასევე ღლონტების უბანში.

გადაიხურა გია გოგუაძის სახელობის საჯარო სკოლა. ახლა მიმდინარეობს შენობაში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

მთლიანი რეაბილიტაცია უკეთდება მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის უნიკალურ ეკლესიას და ამ სარესტავრაციო სამუშაოებს ფონდი „ქართუ“ აფინანსებს.

შარშან გაკეთდა ჭალის სტადიონი, რაც შეეხება სოფლის ცენტრალურ სტადიონს, შეიძლება ითქვას, უნიკალურია და რესპუბლიკური მნიშვნელობისაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარისთვის ამ სტადიონის ნახვა ნამდვილი სიურპრიზი იყო.

გაიწმინდა და შემოიღობა სასაფლაოები როგორც ბოხვაურში, ისე ჭალაში.

შარშან გარდამავალი პროექტით დავიწყეთ სკვერის გაკეთება. აქ იქნება ბავშვებისთვის ატრაქციონი, კალათბურთის პატარა სტადიონი ცალი ფარით, დაიდგმება ჩოგბურთის მაგიდა.

სოფლის ცენტრში ძველი მოსაცდელი ავიღეთ და ახლის გაკეთებას ვაპირებთ.

ზაფხულობით სასმელი წყლის პრობლემა აქვს ჭალას. პრობლემის მოსავვარებლად სამი ჭაბურღილია საჭირო თავისი რეზერვუართით. საქმის ყურშია როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ისე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის სამსახური.

მიუხედავად იმისა, რომ ბოხვაური ქალაქთან ახლომდებარე სოფელია, მაინც საგრძნობია მიგრაცია. 100-მდე ოჯახი გამოკეტილია. მართალია, ქვეყანაში მოსალოდნელი პანდემიის პერიოდში, რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა, მაგრამ, რომ იტყვიან, ეს ზღვაში წვეთია. ბოხვაური არ უნდა დაცარიელდეს“.

მალე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ***გელა ჩავლეშვილი*** *გამოჩნდა თავისი ავტომობილით და შესაძლებლობა მოგვეცა, ადგილებზე გვენახა და გადაგვეღო, როგორ გამოიყურება ობიექტები ხსენებული პროექტების დამთავრების შემდეგ, შევხვედროდით და გავსაუბრებოდით მოსახლეობას.*

გელა ჩავლეშვილი მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ ბოხვაური ყველაზე მცირემიწიანი სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ამ თვალსაზრისით, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ჭალა. ამას ემატება ისიც, რომ ერთწლიანი კულტურებისთვის გათვალისწინებული სავარგულები შორსაა და მოსახლეობას ძვირი უჯდება ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების სამუშაოები.

სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი გვესაუბრა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოფელში განხორციელებულ პროექტებსა და ჩატარებულ სამუშაოებზე:

„ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ამ სოფელში 4 მილიონი დაიხარჯა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და 12 კილომეტრამდე სიგრძის კაპიტალური გზა გაკეთდა. კეთილმოწყობილია შიდა გზების 70% და ეს მაჩვენებელი მალე კიდევ უფრო გაიზრდება.

2013 წლამდე სოფელში მოსახლეობის მხოლოდ 20% იყო გაზიფიცირებული, „ოცნების“ მთავრობამ ამ მიზნით აქ 400 000 ლარის სამუშაოები განახორციელა და სოფელი დღეს მთლიანად გაზიფიცირებულია.

თუ განხორციელებულ ინფრასტრუქურულ პროექტებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში ბოხვაურში ყოველწლიურად მინიმუმ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი მაინც ხორციელდებოდა და ეს ტენდენცია და ტემპი შესამჩნევად მატულობს.

სხვადასხვა პერიოდში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 50-მდე ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალები. რამდენიმე ლოკაციაზე ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, გაკეთდა კაპიტალური ჯებირები, მათ შორის დაზარალებული მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში. ახლა სადაც ვიმყოფებით, ეს გვრიტიშვილების ოჯახია და შეგიძლიათ საკუთარი თვალით ნახოთ ეზოს წინა მხარეს გაკეთებული კაპიტალური ჯებირი. ასეთი 3-4 ჯებირი სოფლის ცენტრშიც გაკეთდა.

70-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს გაეწია დახმარება, როგორ ფინანსური და მატერიალური, ისე ჰუმანიტარული ტვირთის სახით. სოციალურად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ რამდენიმე ოჯახში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ***არჩილ თალაკვაძე*** *იმყოფებოდა. ასეთ ოჯახებს, შესაბამისი მისიებით, ხშირად სტუმრობენ ადგილობრივი ხელისუფლების თავკაცებიც.-*

ჩემს მოსვლამდე, თემურმა, ალბათ, გითხრათ მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის აღდგენის თაობაზე. ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ხორციელდება მისი რესტავრაცია. წლეულს 150 000 ლარი გამოიყო ამ მიზნით. სარესტავრაციო სამუშაოები მომავალ წელს უნდა დამთავრდეს და შესაბამისად დაფინანსებაც გაგრძელდება“.

სოფლის ხელმძღვანელების თანხლებით, ორ სოციალურად დაუცველ ოჯახში ვიყავით და ამ თემაზე შესაბამის მასალას „ალიონის“ ამავე ნომერში შემოგთავაზებთ.

ჩვენი ბოხვაურში „ვიზიტი“ ინფორმაციულად იმდენად უხვი აღმოჩნდა, რომ ერთ საგაზეთო წერილში ყველაფრის ჩატევა შეუძლებელია. ანონსის სახით ვიტყვით, რომ სოფელს, ბატონი ***ამირან გირკელიძის*** *ინიციატივითა და თაოსნობით, აქვს თხილისა და სიმინდის სადემონსტრაციო ნაკვეთები, თხილისას ვლადიმერ ტურაშვილი ხელმძღვანელობს, სიმინდისას - ქეთევან საბაშვილი.*

ბოხვაურში იკვეთება ბიზნესის განვითარების მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საიმედო კონტურები, მუშაობს ოთხი თხილის მიმღები და გადამამუშავებელი ქარხანა. სოფელს ჰყავს ბენეფიციარი პროგრამისა „აწარმოე საქართველოში“, არიან მესათბურეები, არის ოჯახი, რომლის კულინარიულ ნაწარმს უკვე კარგად იცნობენ ოზურგეთში. როგორც გვითხრეს, მეღორეობის მცირე ბიზნესაც ეყრება საფუძველი ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით.

ყველა ამ თემას, ბოხვაურელთა და „ალიონის“ მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენი გაზეთი ვრცლად გააშუქებს.

სხვის სახლს შეკედლებული სოციალურად დაუცველი და შშმ პირი, რომელიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს

ალიონი. სოფელ ბოხვაურში სოციალურად დაუცველი რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ ამჯერად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ორ ოჯახზე გავაკეთეთ არჩევანი.

როგორც გვითხრეს, **ბადრი ცერცვაძის** ოჯახს საცხოვრისი არ აქვს და სხვის ოჯახში ცხოვრობს. მასთან სახლში სოფელ ბოხვაურის მაჟორიტარ დეპუტატ გელა ჩავლეშვილთან და მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელ **თეიმურაზ ჩავლეშვილთან** ერთად მივედით.

ჭაღარა მამაკაცი შეგვეგება. დავინტერესდით ასაკით –34 წელი.

–ცხოვრებამ „დამაბერაო“, გვითხრა.

პ

–ჯანმრთელობა რომ მიწყობდეს პხელს, დახმარებას როგორ ვითხოვდი. დღიური სამუშაოც მცირეა, ფიზიკური მდგომარეობის გამო მძიმე სამუშაოს ვერ ვასრულებ. ამიტომ სოციალური დახმარების ამარაა ჩვენი ოჯახი. ისე არ გამიგოთ, თითქოს სხვა არ მეხმარება, მადლობელი ვარ ადგილობრივი ხელისუფლების, პანდემიის პერიოდში რამდენჯერმე მოგვიტანეს ჰუმანიტარული ტვირთი. საახალწლოდ „ქართულმა ოცნებამ“ გადმოგცვა ამანათი, – გვითხრა ბადრი ცერცვაძემ.

მანვე გვითხრა, რომ უმცროსი შვილები კარგად სწავლობენ.მაგრამ ორლაინ სწავლების დროს პრობლემები ჰქონდათ, რადგან სახლში ერთი მობილური ტელეფონი აქვთ და სიძველის გამო ხშირად არ მუშაობდა ინტერნეტი. მართალია, პირველ კლასში მათ ნოუთბუქები გადასცეს, მაგრამ ადრე გამოვიდა მწყობრიდან და ბავშვებს ინტერნეტგაკვეთილების მოსასმენად კომპიუტერი არ აქვთ.

რაა გამოსავალი? სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის გელა ჩავლეშვილის თქმით, სოფელს სარეზერვო მიწის ფონდი არ აქვს, რომ სამოსახლო გამოუყონ. ეს ოჯახი არა

▶▶▶ გვ-4



სხვის სახლს შეკედლებული სოციალურად დაუცველი და შშმ პირი, რომელიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს

სტიქიის, არამედ სხვა მიზეზის გამო დარჩენილა უსახლკაროდ, ამდენად საკითხის გადაწყვეტა, თუკი სათანადო რესურსი აქვს, მუნიციპალიტეტის მერიას შეუძლია. ჩვენ ვმუშაობთ ამ თემაზე.

მოვინახულეთ **დიომიდე გირკელიძის** ოჯახიც. დიომიდე მშრომელი კაცია, ადრე საოჯახო მეურნეობას ეწეოდა, ერთწლიანი კულტურების ნერგები გამოჰყავდა. მეუღლე **მაია საჯაია** სოფელ გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, შემდეგ ბოხვაურის ბიბლიოთეკაში – ბიბლიოთეკარად..

*– 14 წლის წინ შეგვეძინა უმცროსი შვილი ლერი. შშმ პირია –ცერებრალური დამბლა აქვს. აუცილებლად ერთ-ერთი მასთან უნდა ვიყოთ. დავანებე სამსახურს თავი. მეუღლე წლების წინ რამდენჯერმე თურქეთში გადავიდა და 5 წლის წინ საზღვრის კვეთის გამო ოჯახს სოციალური დახმარება მოუხსნეს. ახლა მხოლოდ ბავშვის პენსია გვაქვს,–*გვითხრა მაია საჯაიამ.

მათვე გვითხრეს, რომ ამ ოჯახს პერიოდულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება, პანდემიის დროს მუნიციპალიტეტის და სხვა დახმარების პაკეტიც მიიღეს.

*–ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძეც გვეწვია ხელდამშვენებული –*ამბობს მაია საჯაია.

სოფლის მაჟორიტარის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 4 წლის წინ ამ ოჯახს დაეხმარა და სახურავი შეუცვალა. გადასცეს ადაპტირებული სავარძელი, რაშიც დეპუტატსაც მიუძღვის წვლილი...ცდილობენ, სხვა მხრივადაც დაეხმარონ.

რა პრობლემა დგას ამჟამად ამ ოჯახის წინაშე: უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ შვილის თურქეთში, ქალაქ სამსუნში სამკურნალოდ წაყვანას.

*–ოჯახური ტრადიცია გვაქვს. ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად მინდოდა სათბურის გაკეთება. ევროკავშირმა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საგრანტო კონკურსი გამოაცხადეს. კარგი საქმეა, მაგრამ პროექტი როგორ წარმედგინა (მომზადებას ხომ დრო სჭირდება), როცა საკონკურსო მასალების მიღება 2 საათში დასრულდა. სათბური რომ მოვაწყო, არსებულ მდგომარეობას ეკონომიკურად შემომსუბუქებდა –*გვითხრა დიომიდე გირკელიძემ.

ჩვენ რაც დავინახეთ, ესაა სოფლის თავკაცების ყურადღება ამ ოჯახისადმი და კეთილი ადამიანების თანადგომა.

გელა ჩავლეშვილმა გულისხმიერების საინტერესო მაგალითი მოგვიყვა.

გზის მშენებლებმა, როცა გაიგეს ამ ოჯახში შშმ პირი იყო და იგი ეტლით სარგებლობდა, ეზოში სახლის კიბეებამდე დაუგეს ასფალტი.

კარგი იქნება შესაბამისი პროფილით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც თუ დაინტერესდებიან ლერი გირკელიძის მდგომარეობით.



წითელმთიელი ქალბატონი თავის ფულად დანაზოგს ითხოვს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელმთაში მცხოვრები, პროფესიით ეკონომისტი, მარტოხელა ქალბატონი თამარ თოდრაძე დიდი ხანია ითხოვს თავისი 44-წლიანი მუშაობის შედეგად დაგროვებულ ფულად დანაზოგს. ამ თხოვნით ქალბატონმა თამარმა ჯერ კიდევ 2006 წელს მიმართა ვანო ჩხარტიშვილს, მაშინ ბატონი ვანო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. ანალოგიური თხოვნით ქალბატონმა თამარმა შემდგომ წლებში სხვა დეპუტატები და ხელისუფლებებიც შეაწუხა, თუმცა, მისი თხოვნა, როგორიც სხვებისა, დღემდე დაუკმაყოფილებელია.

„მოგახსენებთ, რომ 1964 წლიდან 2000 წლამდე ვმუშაობდი ლაშეს, სოფელ მახარაძის, ბოხვაურისა და წითელმთის კოლმეურნეობებში მთავარ ეკონომისტად.

ჩემი დანაზოგი თანხა შემქონდა შემნახველ სალაროში იმ იმედით, რომ ამ თანხით შეძლებდი საკუთარი ბინის ყიდვას.

მუშაობის პერიოდში იყო ხელფასებზე დაკავება სხვადასხვა სახის გადასახადებისა, მაგალითად, „სიცოცხლის დაზღვევა“. აღნიშნულ თანხას ხელზე არ იძლეოდნენ და პირდაპირ რიცხავდნენ შემნახველ სალაროში, წლიურად ეს თანხა 800-1000 მანეთს შეადგენდა.

როცა მქონდა საშუალება ბინის მიღებისა, დავიწყე ზრუნვა, მაგრამ სასტიკი უარი მივიღე, ქალაქში ჩაწერილი არ ხარ და ბინას ვერ მოგცემთო, ხოლო სოფლიდან ამოწერა არ შეიძლებოდა. ასე სოფელი დაცარიელდებაო, სასტიკი უარით გამომისტუმრეს.

ვერაფერს გავხდი და წლების განმავლობაში ვცხოვრობ ძმის მრავალშვილიან ოჯახში. ყველა უმუშევარია, ორი სტუდენტია, ძალიან გვიჭირს. ვარ გულით ავადმყოფი, დიაგნოზი: „აორტის ანევრიზმა აღმავალი სეგმენტების დონეზე“

34 წლის წინათ ვმკურნალობდი გ. ჩაფიძის კარდიოლოგიურ ცენტრში, მაგრამ უშედეგოდ. ოპერაციის გარეშე განკურნება არ შეიძლება.

ძალიან მერიდება, ამას რომ ვაკეთებ, მაგრამ რა ვქნა, სხვა არაფრის იმედი არ მაქვს, ჩემი პენსია წამლების შესაძენად და თავის სარჩენად არ მყოფნის.

გთხოვთ, ჩემი დანაზოგი თანხა, რომელიც შეადგენს 17 700 მანეთს, გადამინგარიშოთ ლარებში და ჩამირიცხოთ, რომ მქონდეს ელემენტალური ცხოვრების პირობები და სამუდამოდ წასვლის შემდეგ დასასფლავებელი თანხა“.

ამ წერილის გასაჯაროება ქალბატონმა თამარ თოდრაძემ ორი კვირის წინ გვთხოვა.

აგრობარათების მიღება გამარტივდა!

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, აგრობარათების მისაღებად, საკმარისია ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ, სხვა თანამესაკუთრეებისგან მიღებული წერილობითი თანხმობის წარმოდგენა.

თანხმობის შინაარსისა და ხელმოწერის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე.

ბარათების მიღება შესაძლებელია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის, ან ყველა თანამესაკუთრის გამოცხადების შემთხვევებშიც.

აგრობარათების მისაღებად, ფერმერებმა, ბანკში მისვლამდე, პროგრამაში მონაწილეობისა და დარიცხული ქულების შესახებ ინფორმაცია ვებპორტალზე - myliberty.ge უნდა გადაამოწმონ; ბანკში ვიზიტის დროს, თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

დარეკეთ 1501 www.arda.gov.ge

„მე ამ ლიცენზიაში ფული მაქვს გადახდილი, რატომ უნდა შევაჩეროთ მუშაობა?“

წარმომადგენლებთან.

მოსახლეობა კვლავ მოითხოვს, რომ შეწყდეს სუფსის აუზში ქვიშა-ხრეშის მოპოვება.

ბაილეთელმა ახალგაზრდამ **დიმიტრი დარჩიამ** გვაჩვენა სუფსის ერთ-ერთი ტოტის კალაპოტი, რომლისაგან ამჟამინდელი კარიერი 100 მეტრითაა დაშორებული სოფელ ახალსოფლის მხარეს მოსახლეობის საყანე ფართობების მახლობლად.

*–კარგად აქვთ დამუშავებული როგორ მოხდეს ხელოვნური ეროზია, შეიძლება ნიადაგის შეუსწავლელად კარიერისათვის ლიცენზიის მიცემა -*გვითხრა მან.

– შარშან „ნატა“ მოვიშორეთ, რადგან კარიერის არასწორი ექსპლოატაციის შედეგად საყანე ფართობები წაგვართვა მდინარე სუფსამ. მე პირადად 3 ათასი მეტრი ყანიდან 700 კვადრატული მეტრი მაქვს დარჩენილი, მდინარეში წყალი არაა, ჭები დაშრა, ხეხილი ხმება. ახლა „სამი ძმების“ სახელით მოვიდნენ. ახლაც ჩვენს ყანებს დაუპირისპირდნენ და სოფელს ულუკმაპურად დატოვებენ. კი ჩამოვიდა ჩვენი დეპუტატი პაატა კიღურაძე, სოფლის რწმუნებული ზურაბ დარჩია. აგენს ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი. ვერ დაინახეთ, როგორ ელაპარაკებოდნენ სილაურის დეპუტატს? ისეთ ადგილას მაინც გადავიდნენ, სადაც საყანე ფართობები არ არის. ვინ პატრონობს ამათ ისეთი, რომ ამდენს ბედავენ. ჩვენ არ გავჩერდებით, სასამართლოში შევიტანთ სარჩელს – გვითხრა ახალსოფლელმა **ნატო დარჩიამ.**

– მე ამ ლიცენზიაში ფული მაქვს გადახდილი, რატომ უნდა შევაჩეროთ მუშაობა– საპასუხო პროტესტს გამოხატავდა კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის (2005-2008 წ.წ.) დეპუტატი **აბო (ალბეგ) ზურაბიანი.**

–ვინ მოგყიდათ თქვენ ჩვენი მდინარის ხეობა, ჩვენი საყანე ფართობები? ზაფხულია და თბილისელი სტუმარი თუ ადგილობრივი წყალში ვერ ჩასულა, რომ გაგრილდეს. მდინარეს ფსკერს აცლიან და ტალახიანი წყალი მოდის. –ეკამათებოდა ზურაბიანს ბაილეთელი **ზურაბ დარჩია.**

–მოვიდნენ შარშან, ჩადგეს ხიდები, ამოხაპეს მდინარის ფსკერი, ააოხრეს ყველაფერი და წავიდნენ. ხიდები დატოვეს. ადიდდა მდინარე სუფსა. ზემოდან წამოღებული ხეები გაიწედა ხიდთან და მდინარე ყველა მხარეს შებრუნდა.დაიკეტა გზა, ორი სული საქონელი დაიხრჩო მათ მიერ შექმნილ ხელოვნურ ტბაში. დაკარგა ორმა ოჯახმა შემოსავლის წყარო...ახლაც ღამით მოვიდნენ ივივე ხალხი, ახლა „სამი ძმები“ ჰქვიათ. ხომ ნახეთ რა სიღრმეზე ჩაყო ექსკავატორმა კოვში მდინარეში? 3-4 მეტრზე გაცილებით მეტზე, რადგან მდინარე არ ექანება, თანაც ტალახიანი წყალი მოდის.ამის შესახებ სპეციალისტებმა იციან, ვთხოვეთ დახმარება. ამათ თურმე ოფიციალურად 400 000 ლარი უნდა გადაუხადონ „ნატა -2000“ს, ამისათვის რამდენი ათეული თუ ასეული ათასი კუბმეტრი ქვიშა-ღორღი ამოიღონ ? 7 ჰექტარი საყანე ფართობი გაგვინადგურეს. მთელი სოფელი იბრძოლებს. რადგან აქ არ მოდიან, პეტიციით მივმართავთ ხელისუფლებას. ამ ხალხს ფული კი აქვთ, მაგრამ ვერ შეგვაშინებენ ზონდერებით და არც ვიყიდებით –გვითხრა **ზურაბ დარჩიამ.**

კომპანია „სამი ძმების“ ერთ-ერთი დამფუძნებლის **ვახტანგ მარშანიშვილის** თქმით, მათ საბუთები წესრიგში აქვთ.

– შპს „ნატა 2000“, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული საბიუჯეტო დავალიანება აქვს, რომლის დაფარვაც მოხდება. მათ აქვთ ქვიშა-ღორღის ამოღების და დასაწყობების უფლება. ამის შემდეგ მოვა შემოსავლების სამსახური,შეაფასებს ნამუშევარს, დაადგენს, რა რაოდენობის თანხა უნდა შევიტანოთ ბიუჯეტში და ამის შემდეგ მოგვეცემა დასაწყობებული ქვიშა-ღორღის გატანის უფლება –გვითხრა მარშანიშვილმა.

კვლავ უნდა აღინიშნოს შსს ოზურგეთის რაიონული პოლიციის თანამშრომელთა (ჯგუფის ხელმძღვანელი **გიორგი შარაშენიძე**) ტაქტიანი მოქმედება, რამაც არც ერთ მხარეს არ მისცა საშუალება მოსახლეობასა და ქვიშა-ღორღის მომპოვებელ კომპანიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება გაძლიერებულიყო.

იყო შეთანხმება კომპანია „ნატა 2000“ და „სამი ძმები“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენდნენ შესაბამის საბუთებს.

– კომპანია „სამი ძმების“ წარმომადგენლები იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიაში. გვაქვს საუბარი, რომ გაფორმდეს მემორანდუმი, სადაც სოფლების ბაილეთის და სილაურის მოსახლეობის ინტერესები იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე კომპანია „სამი ძმები“ მუშაობას არ აგრძელებს, სანამ კომპანია „ნატა 2000“ საბუთებს არ მოაწესრიგებს –გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ბუნებრივი რესურსების საკითხებში **ირინა ინარიძემ.**

ისრაელის ელჩის ვიზიტი გურიაში

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბა-ნი **რან გიდორი** 2 დღიანი ვიზიტით გურიაში იმყოფებოდა.ელჩს თან ახლდა ისრაელის საგარეო სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო „ ასჰავ“-ის საქართველოს წარმომადგენლობის„ მაშავ საქართველოს“ დირექტორი ბა-ნი.**ვიორგი ჟღენტი.**

ვიზიტის პირველდღეს ბატონმა ელჩმა გურიის გუბერნატორთან ბ-ნ **ზურაბ ნასარაიასთან** ერთად ურეკის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „სერაფიმს“ ეწია სადაც ისრაელის ელჩის,გურიის გუბერნატორისა და „შალომ კლუბ გურიას“ თანამშრომლობით გათბობის სისტემები მოეწყო. შემდგომ ბატონმა რან გიდორმა დაათვალიერა ოზურგეთის ღირშესანიშნაობანი ეწვია წვერმაღალას პარკს, „ბლექსი არენას“, მინიატურების პარკს ,დაათვალიერა რებილიტირებული ოზურგეთის თეატრი.

საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ბატონ რანს ოზურგეთის პროფესიულ კოლეჯში სადაც ის კოლეჯის დირექტორს ქალბატონ **ნანა ჯოლიას** შეხვდა. გაეცნო კოლეჯის საქმიანობას . შეხვედრაზე გურიის გუბერნატორმა ბატონ ელჩთან და კოლეჯის დირექტორთან ერთად განიხილეს საკითხი კოლეჯში ებრაელი სპეციალისტების მოწვევის შესახებ, ისრაელში „მაშავის“ სასწავლო ცენტრებში ადგილობრივი სპეციალისტები მივლენა, ხოლო ამჟამად პანდემიის გამო შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ონლაინ სემინარების ჩატარება, რაც ბატონი რანის მიერ სიამოვნებით იქნა გაზიარებული. ბატონი რანი ეწვია დაბა ნარუჯაში მოცვის პლანტაციას. ეწვია თენეიშვილის ჩაის პლანტაციას სოფელ-ბახვში, დაათვალიერე ჩაის გადამამუშავებელი მინი საწარმო მონაწილეობა მიიღო ჩაის კრეფაში და დააგემოვნა ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისაგან დამზადებული გურული ჩაი.

მეორე დღეს ბატონი ელჩი ჩოხატაურში სასტუმრო „პაგიოს“ საკონფერენციო დარბაზში დაესწრო ისრაელის საელჩოს პარტნიორი ორგანიზაციის საქართველოში „მაშავ-შალომ კლუბ გურიას“17 წლისადმი მიძღვნილ კონფერენციას, შეხვდა კლუბის ბორდს. „შალომ კლუბი გურია რომლის პრეზიდენტია ბატონი ბა-ნი **ზაურ ოსეფაიშვილი** 17 წელია აქტიურად მუშაობს გურიაში და სხვა რეგიონებში საქმიანობის მიმართულებებია სოფლის მეურნეობა,სოციალური სფერო,და ტურიზმი. როგორც ბატონმა რან გიდორმა აღნიშნა„მაშავ შალომ კლუბი გურია“ ისრაელის საგარეო სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისც სააგენტო „მაშავის“ და ისრაელის საელჩოს დახმარებით ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა სფეროში. მუშაობს ქართულ ებრაული ურთიერთობების განვითარებაზე, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ამჟამად კლუბი მუშაობს გურიის სკოლებში ისრაელის წყლის გაფილტვრის სისტემების დაყენებაზე და ამ მხრივ მიიღეს სლოვაკათის საელჩოს დახმარება. სულ ახლახან - აღნიშნა მან ჩემი თხოვნის საფუძველზე ინფორმაცია ისრაელიდან საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო„ მაშავი“ შალომ კლუბს გამოუყოფს ფინანსებს დამატებითი წყლის სისტემების შეძენაზე და დაყენებაზე.

შემდგომ ბატონი ელჩი ეწვია „აგრო სახლს“ დაათვალიერა ისრაელის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბური,სადაც მოჰყავთ მარწყვი,აწარმოებენ მარწყვისა და ბოსტნეულის ნერგებს.

დაათვალიერა „აგროსახლში“ მოწყობილი გამოფენა სადაც წარმოდგენილი იყო,როგორც „შალომ“კლუბის სოფლის მეურნეობის პროექტებით შექმნილი პროდუქცია და ასევე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული შალომ კლუბის წევრების მიერ წარმოებული პროდუქცია.

საინტერესო იყოშეხვედრა გორაბეჟიანებული მაკარ თავდუმაძის ცნობით: „სარკოფაგის წელს ზევითა ნაწილი ბულდოზერის მიერ წაკვეთილი იყო.

– 1981 წელს გურიანთის ვაშნარის შემოგარენში, ექსკავატორით მიწის სამუშაოების შესრულების დროს, 2 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა სარკოფაგის ფრაგმენტები.

– 2013 წლის 29 მარტს, სოფელ ოზურგეთში, მოქალაქე ნინო რამიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის სამუშაოების შესრულების დროს სარკოფაგს მიაკვლიეს. ამის გამო თბილისიდან სპეციალურად მოვლენილ იქნენ არქეოლოგები: პროფესორები – ვაჟა სადრაძე, გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ვასტანგ ლიჩელი და მერაბ ძნელაძე. მათი აზრით, აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგი არის ადრექრისტიანული ხანის და თარიღდება მეოთხე საუკუნით (ამჟამად რესტავრირებული ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში).

ადრეფეოდალური ხანის თიხის სარკოფაგები გვხდება დასავლეთ საქართველო მთელ რიგ ადგილებში – ურეკი, ექვდია, მერია, ვაშნარი, სოფელი ოზურგეთი, ქალაქი ოზურგეთი, ასევე დარჩელი (ზუგდიდი). აღნიშნული სარკოფაგები ცილინდრის, ანუ სიგარის ფორმისაა. მათი სიგრძე 2 მეტრია, ზოგჯერ მეტსაც აღწევს, სიგანე – 0,58-0,66 მეტრამდე, კედლის სიმაღლე –0,20-0,33 მეტრამდე.

მეცნიერთა აზრით, ამ ტიპის სამარხების გაჩენა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან არის დაკავშირებული. მათ ქრონოლოგიურ საზღვრად მიჩნეულია მე-4-7 საუკუნეები და მერვე საუკუნის დასაწყისი.

სოფელ მერიაში ახლახან აღმოჩენილი სარკოფაგი, სავარაუდოდ, გურიაში ადრე აღმოჩენილ სარკოფაგთა თანადროული უნდა იყოს.

ანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

რეჟიოულში, გურულ ერისთავთა რეზიდენციაში.სადაც მოწყობილი იყო ებრაულ თემატიკაზე შექმნილი ბავშვების ნახატები.პატარებმა იმღერეს ებრაული სიმღერები. შალომ კლუბის საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვია ბატონმა რან გიდორმა სიგელები გადაცა თამარ კეკელიძეს, ქეთევან გიოგაძეს,მზია კვინტრაძეს, შორენა კეკელიძე და მარინა მამალაძეს.

ოფიციალური ნაწილის შემდგომ ბატონმა ელჩმა მონაწილეობა მიიღო შალომ კლუბის მიერ შემუშავებულ ტურში „ბახმარო-ევფრატი“ ,რომელიც ბიბლიურ, ნოეს შემდგომ სამყაროს განვითარებას ეხება და ევფრატის ნამდვილი სათავის ჰიპოტეზაზეა აგებული.

ტურის ფარგლებში ბატონმა ელჩმა მოინახულა:ნაბეღლავი,ცხრა წყარო, პონტოს მუხის აღკვეთილი ,ბახმარო.

სოფელ ქვაბღაში. ბატონმა რანმა კლუბის წევრებთან ერთად სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა ტურით გათვალისწინებულ გურული კერძების მომზადების მასტერკლასებში.

სოფელ მერიაში სასაფლაოზე სამარის გაჭრისას სარკოფაგი აღმოჩნდა

სავარაუდოდ, იგი გურიაში ადრე აღმოჩენილ სარკოფაგთა თანადროული უნდა იყოს

30 ივნისს სოფელ მერიის სასაფლაოზე, საფლავის გაჭრის დროს, მესაფლავეები თიხის სარკოფაგს წაწყდნენ. ჩვენდა საბუნაროდ, სარკოფაგი დაუზიანდათ. ნაგავსაყრელზე მოხვედრას იგი დაკრძალვაზე მყოფმა ოზურგეთელმა ზვიად ერაძემ გადაარჩინა. შენიშნა რა სამარესთან დაყრილი თიხის ნამტვრევები, მიხვდა, რაც იყო, მესაფლავეები გააფრთხილა, არ გადაეყარათ და იმავე დღეს ჩვენ გვაცნობა.

3 ივლისს მუზეუმის თანამშრომლები: გოგა ტრაპაიძე, დირექტორი; მარიკა ღლონტი, არქეოლოგია-ნუმიზმატიკის განყოფილების გამგე; ლალი კილაძე, დოპ-მენეჯერი და მანანა ლომაძე, ამ სტატიის ავტორი, მუზეუმის ფონდების მცველი სოფელ მერიაში წავედით.

სოფელ მერიის სასაფლაოზე, ნაკაშიძეების ყოფილი კარის ახლადაღდგენილ ეკლესიასთან 50 მეტრში, საფლავთან ახლოს სარკოფაგის ნაშთები ელაგა. ორ მოზრდილ ნატეხს შერჩენილი აქვს სახელურები. უკლებლივ ყველა ნატეხი შევაგროვეთ და მუზეუმში წამოვიღეთ. აღნიშნულის შესახებ იმავე დღეს ვაცნობეთ გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ბატონ ვაჟა სადრაძეს.

ეს არ არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სარკოფაგების აღმოჩენის პირველი შემთხვევა. ქ სარკოფაგების აღმოჩენის ქრონოლოგია ასეთია:

– 1928 წელს ოზურგეთში,რკინიგზის გაყვანის დროს აღმოჩნდა სარკოფაგი. ამის შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა: „ოზურგეთში, რკინიგზის გაყვანის დროს, სადგურ ნატანებიდან 12 ვერსზე, სოფელ სკურდუმში ნახეს ძველი კუბოები, ნაგები გამომწვარი თიხისაგან. არქეოლოგიური მხრით ამ მეტად საინტერესო ნაპოვნმა უნდა მიიპყროს მკვლევართა ყურადღება და დაუყონებლივ უნდა იქნეს გაგზავნილი მცოდნე პირები გამოკვლევებისა და მუზეუმისთვის მეტად საჭირო ნივთების შესაძენად“.

– 1949 წელს არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა ვაშნარის ნაქალაქარის გათხრისას აღმოაჩინა სარკოფაგების მრავალი ნაშთი.

– 1959 წელს ოზურგეთში, იაკობ შემოქმედელის (ყოფილი წულუკიძის) ქუჩაზე, მოქალაქე ქუთათელაძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩნდა სარკოფაგი, რომელიც ამჟამად რესტარირებული ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

– 1961 წელს ურეკში, მაგნეტიტის საწარმოო უბანზე, მდინარე სეფას შესართავთან, ბულდოზერით სამუშაოს შესრულების დროს, ხელოვნურ ნაზურგევზე აღმოაჩინეს საშუალო ზომის სარკოფაგი, მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის,აწ განსვენებული მაკარ თავდუმაძის ცნობით: „სარკოფაგის წელს ზევითა ნაწილი ბულდოზერის მიერ წაკვეთილი იყო.

– 1981 წელს გურიანთის ვაშნარის შემოგარენში, ექსკავატორით მიწის სამუშაოების შესრულების დროს, 2 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა სარკოფაგის ფრაგმენტები.

– 2013 წლის 29 მარტს, სოფელ ოზურგეთში, მოქალაქე ნინო რამიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის სამუშაოების შესრულების დროს სარკოფაგს მიაკვლიეს. ამის გამო თბილისიდან სპეციალურად მოვლენილ იქნენ არქეოლოგები: პროფესორები – ვაჟა სადრაძე, გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ვასტანგ ლიჩელი და მერაბ ძნელაძე. მათი აზრით, აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგი არის ადრექრისტიანული ხანის და თარიღდება მეოთხე საუკუნით (ამჟამად რესტავრირებული ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში).

ადრეფეოდალური ხანის თიხის სარკოფაგები გვხდება დასავლეთ საქართველო მთელ რიგ ადგილებში – ურეკი, ექვდია, მერია, ვაშნარი, სოფელი ოზურგეთი, ქალაქი ოზურგეთი, ასევე დარჩელი (ზუგდიდი). აღნიშნული სარკოფაგები ცილინდრის, ანუ სიგარის ფორმისაა. მათი სიგრძე 2 მეტრია, ზოგჯერ მეტსაც აღწევს, სიგანე – 0,58-0,66 მეტრამდე, კედლის სიმაღლე –0,20-0,33 მეტრამდე.

მეცნიერთა აზრით, ამ ტიპის სამარხების გაჩენა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან არის დაკავშირებული. მათ ქრონოლოგიურ საზღვრად მიჩნეულია მე-4-7 საუკუნეები და მერვე საუკუნის დასაწყისი.

სოფელ მერიაში ახლახან აღმოჩენილი სარკოფაგი, სავარაუდოდ, გურიაში ადრე აღმოჩენილ სარკოფაგთა თანადროული უნდა იყოს.

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ონლაინ რეჟიმში

სოფელ შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურული სალონი „ივერია“ (ხელმძღვანელი სკოლის დირექტორი **რუსუდან ცეცხლაძე**) ჩვეული შემართებით განაგრძობს თავის საქმიანობას. 6 ივლისს „ივერიამ“ უკვე ონლაინ რეჟიმში ჩაატარა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია თემაზე „კინოკლასიკად ქცეული ლიტერატურული ნაწარმოებები“. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ კონფერენციაში მონაწილე ბავშვებმა საკმაოდ მდიდარი ტექსტობრივი და ვიზუალური მასალები წარმოადგინეს და გამოვლინეს ლიტერატურასა და კინემატოგრაფში ღრმად წვდომის უნარი.

კონფერენცია მეთერთმეტე კლასელმა **გიორგი კალანდაძემ** გახსნა თავისივე მომზადებული თემით „ვასილ ამაშუკელი და დიდი მგოსნის უკვდავი ხატება“ – ავტორმა ამ ნაწარმოებში ფაქტობრივად ორი გმირი გვიჩვენა – ფილმის გადამღები რეჟისორი და საქართველოს ბულბულად ხმობილი პოეტი. ორივე გაამდიდრა სახასიათო შტრიხებით.

ასევე მეთერთმეტე კლასელმა **სანა ხომერიკმა** თავისი თემის სათაურშივე ამომწურავად თქვა თავისი სათქმელი, როცა „ბაში-აჩუკი“ ყველაზე ეროვნულ ფილმად მოიხსენია განსაკუთრებული სიმპათიები გამოხატა ნაწარმოების პერსონაჟებისა და კინოგმირების მისამართით. ხაზი გაუსვა მამაკაცების რაინდულ თვისებებსა და ქალების მშვენიერებაზე.

ფილოსოფიური შთაბეჭდილება დატოვა კონფერენციაზე ამავე სკოლის მეთერთმეტეკლასელი გოგონას **მარიამ ტულუშის** გამოსვლამ. „ვედრების“ შექმნის ისტორია და ეკრანზე გაცოცხლებული ეპიკური გმირები“ ნამდვილად გამორჩეული ნაშრომია, რომელსაც ხელს სახელდებული კინომცოდნეები და ლიტერატურის კრიტიკოსებიც კი მოაწერდნენ.

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ ორ ეკრანულ სიცოცხლეს ეხებოდა მეთერთმეტეკლასელი **ინა ჩიქოვანის** თემა. ეხებოდა კი არა, იმდენად კარგი გამოუვიდა, გული დაგვწყდა, როცა ინამ გამოსვლა დაამთავრა.

კომბინირებული თემით ყვარყვარე თუთაბერისა და აბელ სეთურის ლიტერატურულ და კინოსახეთა ურთიერთმიმართებისთვის“ დაგვამსხსოვრა მეცხრეკლასელმა **ჯემალ გოჩიტიძემ.**

მეთორმეტეკლასელებმა **მარიამ კირკიტაძემ** და **მაგდა გაგუამ** დიდოსტატურად მოამზადეს საკონფერენციო თემა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარგვანა“ და ამ რომანის მიხედვით შექმნილი კინოპიპეა.

„ივერიამ“ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ონლაინ რეჟიმში პირველად ჩაატარა და დასახულ მიზანს კარგად გაართვა თავი.

მერაბ ძირკვაძე,

სოფელ შრომის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე.

საოცნებო სიზმარი-მირაჟი

ოზურგეთის რაიონი და მისი მცხოვრებნი ყოველთვის გამოირჩეოდნენ ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული დონის მაღალ მატარებლად, თვითონ რაიონი კი ქვეყანაში გამორჩეული იყო ჩაის დამზადება-რეალიზაციით, ყოველწლიურად 100 000 ტონა ჩაის ფოთოლს ამზადებდა, რითაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის 20-22 %-ს მოიცავდა.

მე, როგორც პიროვნება, გურამ ცერცვაძე ბოდიშს ვუხდი ჩემს მკითხველს, რომ 8-10 თვეა ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციით შეხვედრა არ შემდგარა ჩემი მძიმე ავადმყოფობის გამო.

ახლა კი გთავაზობთ უცნაური სიზმრის შინაარსს, რომელმაც პირადად ჩემში საოცარი აღტაცება გამოიწვია:

სიზმრად ვნახე, რომ გამოვედი ოზურგეთის თეატრიდან, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი სახსრებით შეაკეთა, აღადგინა და, შეიძლება ითქვას, ლა სკალას თეატრს დამსგავსა,

ისევე, როგორც „ბლექსი არენას“ საკონცერტო დარბაზი, ატრაქციონი, სასტუმრო პარაგრაფი, გვერდით საავადმყოფო, მუსიკოსთა სკვერი, რომელთა ნაწილი უფასოდ გადაეცა საკუთრებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს და ჰოი, საოცრებავ, რას ვხედავ: თეატრის წინა მოედანზე დგას შოთა რუსთაველის უზარმაზარი ქანდაკება, მსოფლიო პოეზიის ნიმუშად წოდებული გადაშლილი „ვეფხისტყაოსნით“.

იქედან, აღტაცებული გმირთა მოედნისკენ დავუყევი და თვალში მომხვდა წარწერა „გმირთა ხეივანი“, რომელშიც განელაგებინათ ოზურგეთის გამორჩეული შვილების, მეორე მსოფლიო ომის გმირების ბიუსტები. მივყევი ხეივანს და კიდევ უფრო დიდ საოცრებას წავაწყდი – გმირთა მოედანზე აღემართათ გენერალი სიმუსის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ქანდაკება. ბედნიერი დავბრუნდი რკინიგზის სადგურისკენ, იქ შევნიშნე დიდი მწიგნობარის, ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი, ერისკაცს პატივი მივაგე ქედმოხრით და მუნიციპალიტეტის მერიის აღმართს შევუდექი, სადაც თურმე უფრო დიდი საოცრება მელოდა: ზუსტად მერიის წინ, სადაც ლენინის ძეგლი იდგა, აღემართათ დავით აღმაშენებლის ქანდაკება, რომელსაც ხელი დასავლეთისკენ ჰქონდა გაშვერილი. განვაგრძე მოძრაობა ერისთავის ქუჩისკენ და უკვე ვხედავ იაკობ გოგებაშვილის ქანდაკებას მისი უკვდავი „დეკენით“ ხელში.

აღფრთოვანებული, გახარებული და ბედნიერი დავბრუნდი სახლში და სიზმარშივე ოჯახის წევრებს მოვუყევი ნანახის შესახებ.

ახლა ცხადში ვარ და, ჩემი აზრით, ამ ორ კვადრატულ კილომეტრზე შეიძლება შეიკრას ისეთი საოცრებები, რომლებიც მოიზიდავს ტურისტებს და საინტერესოს გახდის აქ ჩამოსვლას, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამუშავდება ურეკი - გომისმთის საბაგირო გზა. იქნებ უფალს ვთხოვ, ისე ნუ მომკლავს, რომ ვერ მოვესწრო ოდესმე ოზურგეთელთა ოცნების ახდენას – ჩვენი კოპწია ქალაქი ჩაეწეროს ტურისტული მარშრუტების გზამკვლევში.

გურამ ცერცვაძე,
პენსიონერთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

განცხადება

სასწრაფოდ, მხოლოდ ბითუმად იყიდება მასშტაბური მშენებლობისთვის გამოსადეგი ბახმაროს მასალა, ხმელი 12 წლის წინათ მოჭრილი და დახერხილი, სხვადასხვა პროფილით, 22 კუბურ მეტრამდე მოცულობით. ტელ. 551 002801; 597 844833. ლუკა.

სულთათანა

გურიის ჭადრაკის ფედერაცია გურია მწუხარებით იუწყება რომ, 64 წლის ასაკში, გარდაიცვალა ოზურგეთის ინტელექტუალური საზოგადოების ერთერთი ღირსეული წარმომადგენელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში, ინჟინერი **ვოვა (ვლადიმერ) ქარჩავა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ეთერ ქადაეიშვილს ძმის **შაქროს** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი



პასუხები:

ხელოვნება – ეროვნული ფასეულობა; ალიონი – ალიონი; ბალეტმეისტერ – ბალეტმეისტერ; ბალეტმეისტერ – ბალეტმეისტერ; ბალეტმეისტერ – ბალეტმეისტერ

პოლიტიკური და სოციალური ვითარება საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



1. მუშათა მოძრაობა(1899-1904 წწ.)

1899-1903 წლებში მუშათა გაფიცვები აღინიშნა ჭიათურაში, სამტრედიაში, ფოთში.

მუშათა მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1899-1903 წლებში გამოწვეული იყო ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილი ვითარებით, მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ამასთან ერთად, მუშათა მოძრაობისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა, გამოსვლების ორგანიზება, მუშათა ერთი მიზნისათვის დარაზმვა სოციალ-დემოკრატთა უდავო დამსახურებას წარმოადგენს.

2. გლეხთა მოძრაობა (1901-1904 წწ.). სოფლად არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარება გლეხთა მოძრაობის გაძლიერების საფუძველი გახდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავდა ხელისუფლების არასაკმარისი, სანახევრო ღონისძიებები, რომელთა მიზანსაც კრიზისული მდგომარეობის განმუხტვა წარმოადგენდა. იმპერატორ ნიკოლაი II-ის აგრარულმა პოლიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო: მცირემიწიანობა, უსამართლო გადასახადები და ადმინისტრაციის თვითნებობა სოფელს დიდი სოციალური ამბოხისაკენ მიაქანებდა. გლეხთა მოძრაობის გააქტიურების საბაბი 1901 წლის მოუსავლიანობა და სოფლად დაწყებული შიმშილობა გახდა.

მასშტაბურობითა და ორგანიზაციულ-პოლიტიკური დონით **გურიის** გლეხთა მოძრაობა გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ 1902 წლის მაისის დამდეგს სოფელ **ნიგოითის** გლეხობა რამდენჯერმე დაუპირისპირდა მემამულეებს. თავადმა მაჭუტაძემ გლეხებს ოჯარით აღებულ მიწაზე მოყვანილი მოსავლის ნახევარი მოსთხოვა და საძოვარზე დაწესებული გადასახადიც გაუდიდა. საძოვრის თაობაზე გლეხებს მაჭუტაძესთან დაპირისპირება წინა წლებშიც ჰქონიათ. დაგროვილმა უკმაყოფილებამ 1902 წელს ერთბაშად იფეთქა. გლეხთა გამოსვლები გურიის სხვა სოფლებშიც აღინიშნა. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ აგრარული მოძრაობისათვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ნიგოითის გლეხთა გამოსვლა. სოფელში სოციალ-დემოკრატების ინიციატივით რამდენიმე საიდუმლო შეკრება გაიმართა. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტების მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ დიდი როლი შეასრულა გლეხობის დარაზმვაში.

1902 წლის მაისის დამდეგს გლეხთა შეკრებები დაიწყო სოფელ **მიქელ-გაბრიელში.** შეკრებები სოფლიდან მოშორებით, ტყეში, ტარდებოდა. პირველ შეკრებაზე დაახლოებით 200 გლეხი გამოცხადდა. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები გლეხობას საკუთარი ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. შეკრებაზე მრავალი საკითხი განიხილეს, ამ პროცესში გლეხებიც აქტიურობდნენ.

1902 წლის 28 მაისს გლეხთა შეკრება გაიმართა სოფელ **ჩოჩხათში,** ხოლო ივნისის შუა რიცხვებში –სოფლებში: **ხვარბეთში, გურიანთაში, დვაბზუში, მამათში, ძიმითსა** და სხვ. თითქმის ყველა შეკრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები. გლეხთა შეკრებები, როგორც წესი, სოფლებიდან მოშორებით, ძირითადად ტყეში იმართებოდა და თითქმის მთელი ღამე გრძელდებოდა.

გურიის გლეხთა შეკრებებში მონაწილე სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტებს არ ჰქონიათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა, არც გლეხობისათვის მისაწოდებელი მასალა იყო წინასწარ მომზადებული. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატების გამოსვლებს გლეხობა დიდი მოწონებით ხვდებოდა. ისინი ინტერესით ისმენდნენ ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის კრიტიკას, თუმცა გარკვეული სკეპტიციზმით ხვდებოდნენ პროპაგანდისტების მოწოდებებს მემამულეთა წინააღმდეგ ტერორის შეწყვეტის შესახებ, რადგან სოციალისტები თვლიდნენ, რომ ამ გზით აგრარული საკითხი ვერ გადაიჭრებოდა. მცირემიწიანობითა და გადასახადებით გაწამებული გლეხობა ისევ ესხმოდა თავს მემამულეთა სახლ-კარს და არბევდა მათ. ზოგიერთი მემამულე იძულებული გახდა თავი ოზურგეთისა და ქუთაისისათვის შეეფარებინა. ოზურგეთში მაზრის თავადაზნაურობის საიდუმლო შეკრება ჩატარდა. გადაწყდა, სასწრაფოდ ეთხოვათ დახმარება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. ასევე გადაწყდა, სანამ დახმარებას მიიღებდნენ, თავადაზნაურობას თავად ეზრუნა საკუთარი მამულისა და სახლ-კარის დაცვისათვის. თავადაზნაურობისმიერ საკუთარი ძალებით მამულების დაცვის იდეას განსაკუთრებული გულმოდგინებით უჭერდნენ მზარს **კოწია ერისთავი, ბედია კობახიძე, ტიტიკო ერისთავი** და სხვები.

გურიაში გლეხთა მოძრაობის გაქანებამ ხელისულება შეაშფოთა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორი **ალექსეი სმაგინს** (1857–1928) წინადადება მიეცა გურიის სოფლები შემოევლო და ადგილზე გასცნობოდა ვითარებას. სოფლებში გუბერნატორი გლეხობის შეკრებებს აწყობდა და ყველა შეკრებაზე ასე მიმართავდა ხალხს: „მითხარით, რა გჭირდებათ და მე დავაკმაყოფილებ თქვენს თხოვნას“. სოფელ **ჯუმათში** ერთ-ერთმა გლეხმა სმაგინს თავიანთი მძიმე მდგომარეობის შესახებ დაურიდებლად მოუთხრო. გუბერნატორი გაცხარდა და გლეხს დაუყვირა: „შენ ტყეი! ეს შენ მოხეტიალეებმა (იგულისხმებოდა პროპაგანდისტები – ვგ.) გასწავლეს. მეორედ არ გაბედო ჩემთან ასეთი საუბარი! თორემ ყველას ციმბირში გადაგასახლებთ!“ სოფელ **ჩოჩხათში** გუბერნატორს ასე მიმართეს: „ჩვენთან შიმშილობაა, აღმოგვიჩინეთ დახმარება!“ სმაგინი გაცხარდა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა. გლეხები არ შეშინდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა გუბერნატორს განუცხადა: „თუ არ დაგვეხმარებით, ჩვენ ვერ შეეძლებთ გადასახადების გადახდას“. პასუხად სმაგინმა გლეხს უთხრა: „არა, თქვენ გადასახადები უნდა გადაიხადოთ და შეასრულოთ ყველაფერი, რასაც გიბრძანებენ!“ მეორე გლეხმა გენერალს ქალამანი ესროლა სიტყვებით: „თუ ასეა, აი, ეს აიღეთ, მე მეტი არაფერი აღარ დამრჩა!“ სამხედრო გუბერნატორი აღშფოთდა და გლეხის დაპატიმრების ბრძანება გასცა. შეკრებილებმა სმაგინს ალყა შემოარტყეს და ხმური ატეხეს. გუბერნატორი იძულებული გახდა, ბრძანება გაუუქმებინა. გლეხები მას მუშტებს უღერებდნენ და უყვიროდნენ, რომ არ გაებედა ვინმეს დაპატიმრება. მეორე დღეს ალექსეი სმაგინი სოფელ **მიქელ-გაბრიელს** ეწვია. გუბერნატორთან შესახვედრად ხუთასამდე გლეხი მივიდა. განწყობილება აქაც საბრძოლო იყო. სამხედრო გუბერნატორის მითითების თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვით გამოსული გლეხების გვარებს იწერდნენ, რათა ამ გზით ისინი დაეშინებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მიქელ-გაბრიელის გლეხობამ ასეთი მოთხოვნები წარუდგინა ალექსეი სმაგინს:

1. შეიცვალოს გადასახადის ამოღების სისტემა;

2. მიწის საიჯარო ქირა ისე შემცირდეს, რომ არ აღემატებოდეს მიღებული მოსავლის 1/8 –1/10-ს;

3. გაუქმდეს გადასახადი საძოვარზე;

4. გაუქმდეს აქციზი სპირტსა და არაყზე;

5. არასავალდებულო გახდეს სოფლის მცხოვრებთათვის გზების შეკეთებაში მონაწილეობა და ეკლესიების დაცვა;

6. მიწების გადამოვლინისათვის აუცილებელი თანხა თანაბრად განაწილდეს მოსახლეობაზე;

7. გაუქმდეს დრამის გადასახადი;

8. მოისპოს წოდებრივი პრივილეგიები, რათა კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.

ამ მოთხოვნების გაცნობის შემდეგ გუბერნატორი სასტიკად გაცხარდა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და შეკრებილებს ასე მიმართა: „მე ვიცი, რომ თქვენ გატყუებენ უსაქმურები(იგულისხმება სოციალისტი პროპაგანდისტები – ვგ.), რომლებიც თქვენთან ღამღამობით დადიან და გაუკუღმართებულად გიხსნიან მეფის კანონებისა და მთავრობის მოქმედების არსს. თუ თქვენ მათ არ დაუჯერებთ, მაშინ მე ყურადღებით მოვეკიდები თქვენს თხოვნებს და შეძლების ფარგლებში შეგისრულებთ. საბეგრო გადასახადის საკითხი მე არ მეკითხება, ამასთან დაკავშირებით მემამულეებს მოელაპარაკეთ. რაც შეეხება დრამის გადასახადს, თუ დაწყნარდებით და თხოვნით მომმართავთ, გავაუქმებ.“ სმაგინის წინადადება გლეხებმა არ მიიღეს. გაბრაზებულმა გუბერნატორმა სოფელი დატოვა და ქუთაისში გაემგზავრა. გუბერნატორის საქციელი გლეხებმა თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. სოფელი მიქელ-გაბრიელი გამონაკლისი არ იყო, ოგივე განწყობა სუფევდა სხვა სოფლების გლეხობაშიც.

ქუთაისში დაბრუნებულმა ალექსეი სმაგინმა კავკასიის მთავარმართებელ გრიგორი გოლიცინს ასეთი კითხვით მიმართა: „როგორ მოვექცე აჯანყებულ გურიას?“ თბილისში ძალის დემონსტრირების გადაწყვეტილება მიიღეს და შესაბამისი ბრძანების შემდეგ, 1903 წლის 6 აგვისტოს, ოზურგეთში კაზაკთა ასეულის თანხლებით ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ალექსეი კალაჩევი ჩავიდა. 1903 წლის 7 აგვისტოს კალაჩევის განკარგულებით, რკინიგზის სადგურ ნატანებში სოფელ მიქელ-გაბრიელიდან 25 კაცი (21 გლეხი და 4 ინტელიგენტი) დაიბარეს. ნატანებში მხოლოდ 19 მათგანი გამოცხადდა, ყველანი დააპატიმრეს და კაზაკებს გადასცეს. მიქელ-გაბრიელის გლეხობამ სადგურ ნატანებზე თავდასხმა და კაზაკთა ტყვეობიდან თანასოფლელების გათავისუფლება გადაწყვიტა, თუმცა ბოლოს ასეთი რადიკალური ზომისაგან თავი შეიკავეს. 8 აგვისტოს დაპატიმრებულები ნატანებიდან ქუთაისში გაგზავნეს. 8 აგვისტოსვე სოფელ ნიგოითში 20 კაცი დაატუსაღეს და ისინიც ქუთაისის გზას გაუყენეს. დაპატიმრებები მიმდინარეობდა სოფლებში: **სუფსაში, ჩოჩხათში, ამაღლებაში, ხვარბეთში, ხიდისთავსა** და სხვ. წინათ დაპატიმრებულთა გარდა, რამდენიმე კაცი შეიპყრეს მიქელ-გაბრიელსა და ნიგოითში. სულ გურიაში დააპატიმრეს დაახლოებით 250 კაცი. ქუთაისის, ოზურგეთისა და ბათუმის ციხეები გადაიტვირთა. მოსალოდნელი მღელვარების აღკვეთის მიზნით გურიაში ქვეითი ჯარის ერთი პოლკი გაიგზავნა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა ალექსეი სმაგინმა ჩათვალა, რომ მოსახლეობა დაშინა და კვლავ გურიის სოფლების შემოსავლელად გაემგზავრა. ამჯერად გუბერნატორს კაზაკთა ასეული და ჯარისკაცები ახლდნენ. თუ გუბერნატორთან შეხვედრისას ვინმე ხელისუფლებისათვის მიულებელ მოთხოვნებს წამოაყენებდა, მას მაშინვე აპატიმრებდნენ და ციხეში გზავნიდნენ. გუბერნატორის განკარგულებით, დაიხურა ყველა ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რომლებიც გურიის თითქმის ყოველ სოფელში არსებობდა. ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებაში შეჩნეული მასწავლებლები სამსახურიდან დაითხოვეს. გურიის 7 სასოფლო საზოგადოებას მამასახლისის არჩევის უფლება ჩამოართვეს და სოფლის ადმინისტრაციის სათავეში ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები დააყენეს, რომელთა ხელფასი წელიწადში 450-500 მანეთი უნდა ყოფილიყო. სოფლებში, სადაც გლეხთა მღელვარება დაიწყებოდა, დაუყოვნებლივ ოგზავნებოდა 50-60 ჯარისკაცი ოფიცრის მეთაურობით. ეს რაზმი სოფელში ყოფნის პერიოდში გლეხებს უნდა შეენახათ. დრამის გადასახადის დროულად გადახდის მიზნით სოფლებს პოლიციელები (სტრაჟნიკები) შეუსიეს. იმ გლეხებიდან, რომლებიც დრამის გადასახადს არ იხდიდნენ, 4-5 კაცს აპატიმრებდნენ და სოფლის კანცელარიაში ამწყვდევდნენ. ამ გზით აპირებდა ხელისუფლება ურჩი გლეხობისაგან გადასახადის ამოღებას. დატუსაღებული გლეხები ხშირად ოზურგეთში მიჰყავდათ, სადაც გაროზგვის გზით აიძულებდნენ გლეხთა გამოსვლის ორგანიზატორები დაესახელებინათ. 1903 წელს, დაახლოებით 3 თვის განმავლობაში, გურიის თითქმის ყველა სოფელში ჯარი და პოლიცია ჩააყენეს.

1903 წლის გაზაფხულზე შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის კომიტეტი (იგივე რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი), რომელიც გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. კომიტეტმა 1903 წლის მაისში ყრილობა (კონფერენცია) მოიწვია. მან შეიმუშავა გლეხთა მოძრაობის პროგრამა და განსაზღვრა მისი შესრულების გზები. გადაწყდა, ყოველ სოფელში შექმნილიყო სოციალ-დემოკრატიული წრე 10 კაცის შემადგენლობით. სოფლის სოციალ-დემოკრატიული წრიდან ერთი წევრი ოგზავნებოდა 4-5 კაცისაგან შემდგარ **სასოფლო საზოგადოების წრეში**. ოზურგეთის მაზრა დაიყო რაიონებად, თითოეულ რაიონში 5-6 სასოფლო საზოგადოება შედიოდა. სოფლებში დამსჯელი ექსპედიციების მოქმედების გამო სოფლის ყრილობების ჩატარება და მასობრივი აგიტაცია დროებით შეაჩერეს. აგიტაცია კონსპირაციულად მაინც მიმდინარეობდა გლეხთა მცირერიცხოვან ჯგუფებში. ასეთი ჯგუფების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ალექსეი სმაგინი სწორედ ამ დროს, 1903 წლის აგვისტოში, მეორედ მოგზაურობდა გურიაში. რადგან სოფლებში სიმშვიდე სუფევდა, გუბერნატორმა გურიის გლეხთა მღელვარება დასრულებულად ჩათვალა. სმაგინი იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მოგზაურობის დასასრულს დაბა ჩოხატაურში გამართულ დიდ ბანკეტზე მთელი არსებით მოილხინა.

1903 წლის ივლისში სამხრეთ რუსეთსა და კავკასიის დიდ სამრეწველო ცენტრებში დაწყებულ მუშათა გაფიცვებთან დაკავშირებით სოფლებისა და სასოფლო საზოგადოებების სოციალ-დემოკრატიულმა წრეებმა რსდმპ გურიის კომიტეტს სოფლებში მასობრივი დემონსტრაციების დაწყების წინადადებით მიმართეს. კომიტეტმა მასობრივი დემონსტრაციების ჩატარება ნაადრევად ჩათვალა, რასაც სოციალ-დემოკრატიული წრეების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

რსდმპ გურიის კომიტეტმა გადაწყვიტა მასობრივი სახალხო გამოსვლები მოეწყო 1903 წლის შემოდგომაზე მოსახლეობის რუსეთის ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ გაწვევის დაწყებამდე სოციალ-დემოკრატებმა სოფლებში დიდი საagიტაციო მუშაობა გააჩაღეს. 1903 წლის 4 ნოემბერს ჩოხატაურში ახალწვეულებმა ისეთი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყვეს, რომ ქუთაისის გუბერნატორს განწყობილება გაუფუჭეს. ამ დემონსტრაციით გურიაში რევოლუციური გამოსვლების ახალი ტალღა დაიწყო. ჩოხატაურში მომხდარი ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს გურიასა და ბათუმში, სადაც ახალწვეულებმა ასევე მოაწყვეს დემონსტრაციები.

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918) წიგნი 3, გვ.75-82)

გალერეა

„არჩილ კუტალაძე არის ყველაზე კარგი ნიმუში იმისა, როგორ უნდა იცხოვროს მხატვარმა თავისი მხატვრობით!“

იცის თავისი საქმე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრმა. მხოლოდ მას ძალუძს ზაფხულის ერთი ცხელი და მომქანცველი დღე ნამდვილ დღესასწაულად აქციოს და შენთვის საინტერესო ფერმწერის სამყაროში უკიდეგანოდ გახეტიალოს. გრჩება შთაბეჭდილება, რომ გალერეაში კი არ ყოფილხარ, არამედ სადღაც მშვენიერებაში იმოგზაურე და ეს მშვენიერება არ გეთმობა, გინდა, რომ დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს.

კორონის პანდემიურმა საშიშროებამ ერთი კი ჰქნა, ოზურგეთელებს სახვითი ხელოვნების ოსტატთა შედევრებით დახუნძლული საგამოფენო დარბაზი მოგვანატრა და ჩვენებური ხელოვანი, ვისაც აქ მარტში ველოდებოდით, თავისი ფერტილოებით 7 ივნისს შეგვახვედრა.

არჩილ კუტალაძის ამ პერსონალურ გამოფენაზე ნანახმა მოლოდინს გადაჭარბა. როცა საგამოფენო დარბაზში შევდივარ, წესად მაქვს რამდენიმე ნახატს თვალს დავადგამ და უმალ გადავიღებ, ახლა რატომღაც ეს ვერ მოვახერხე, ალბათ იმიტომ, რომ თვალდასადგმელი გაცილებით მეტი იყო. სამოცდაათივე არ გადამიღია, მაგრამ რაც გადავიღე, იმით ფოტოაპარატსაც ვასიამოვნე და მეც ვისიამოვნე.

კუტალაძის სივრცობრივად უკიდეგანო ფერტილოებში რამდენი ფერიც ჩანს, იმდენი მზე და გაზაფხულია, სიცოცხლის ზეიმია. ყველა ნახატი თბილსისხლიანია, ცოცხალია, სუნთქავს, მანერით არისტოკრატიულია, მანევრით – ანდამატური, ანუ მიმზიდველი. მდიდარი კაცი ჩანს, წარმოშობით ჩოხატაურელი, თბილისში მოღვაწე მწიფე ფერმწერი, უფლისგან ბოძებული ნიჭით მდიდარი.

გამოფენაზე სიტყვით გამოსულებმა ქებათა პრიზმაში გაატარეს ხელოვანი და მისი ნამუშევრები. ხელოვნებათმოდნები, მხატვრები და სახვითი ხელოვნების მოყვარულები ასე მხოლოდ უმაღლესი ხელოვნების ნახვისას იცლებიან. ხელოვნებთმცოდნე ლია ურუშაძე, სახვითი ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელი, მხატვარი ავთანდილ თავართილაძე, გურიის მხატვართა კავშირის თავკაცი, მხატვარი თამაზ დარჩია ხელოვნების ამ დარგის პროფესიონალები არიან და სიტყვა არ დაეწუნებათ, მაგრამ პირადად ჩემთვის ყველაზე ყურადსაღები იყო მხცოვანი ოზურგეთელი მხატვრის ვახტანგ მამეიშვილის სიტყვა: „არჩილ კუტალაძე არის ყველაზე კარგი ნიმუში იმისა, როგორ უნდა იცხოვროს მხატვარმა თავისი მხატვრობით!“

ჰოდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში, ვარკეთილში ეს სანიმუშო გურული კაცი, ვისმა ფერადოვანმა შემოქმედებამ გასულ კვირაში სასიამოვნოდ დამუხტა ბევრის მნახველი სახვითი ხელოვნების ოზურგეთელი სპეციალისტები და მოყვარულები.

არჩილ კუტალაძე დაიბადა 1966 წლის 25 თებერვალს. 1995 წელს წარმატებით დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

ფერმწერი არჩილ კუტალაძე გამოფენებში მონაწილეობს 1987 წლიდან. სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, იგი დაჯილდოვებულია საპატიო სიგელით. მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი იყო: რუმინეთში, ლიტვაში, ბელარუსში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. საზღვარგარეთ მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში.

არჩილ კუტალაძე არის საქართველოს მხატვართა ასოციაციის წევრი. 2003 წელს საქართველოს ეროვნულ გალერეაში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა ერთობლივ გამოფენებში საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყანაში - ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.

არჩილ თალაკვაძის პერსონალური გამოფენა ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრში – სურათების გალერეაში თვის ბოლომდე გასტანს.

კოკა თელია

საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარები მონიკა ახვლედიანი და თამუნა ლურსმანაშვილი „ივერია ბრილიანტის“ ონლაინ ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას

დღეს, „ივერია ბრილიანტი“ რიგით მეხუთე ფესტივალი იწყება. წინა ფესტივალისაგან განსხვავებით იგი ამჯერად ონლაინ რეჟიმში ჩატარდება, რის მიზეზიც პანდემიისაგან გამომდინარე შეზღუდვებია. ამიტომაც ფესტივალის დევიზია „ივერია ბრილიანტი კორონას (KOVID 19) წინააღმდეგ.

აღნიშნული ფესტივალი ტარდება საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით და მისი ხელმძღვანელია ნუგზარ ჭიაბერაშვილი.

ამ ფესტივალში საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარები წინა ფესტივალის გამარჯვებული **მონიკა ახვლედიანი** და **თამუნა ლურსმანაშვილი** მონაწილეობენ.

გთხოვთ უგულშემატკივროთ მათ და დავრეკოთ:

0903 903934–თამუნა ლურსმანაშვილი; 0903 903945 – მონიკა ახვლედიანი.

15 ივლისისდან შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნება

ბაღრი ვადაჭკორიას ფოტოები

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 ივლისი ორშაბათი	14 ივლისი სამშაბათი	15 ივლისი ოთხშაბათი	16 ივლისი ხუთშაბათი	17 ივლისი პარასკევი	18 ივლისი შაბათი	19 ივლისი კვირა
ღრუბელი +18+24	წვიმა +17+23	მზე, ღრუბელი +18+25	მზე, ღრუბელი +19+25	ღრუბელი +15+24	წვიმა +17+26	წვიმა +17+27